ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

ნატო ჯაში-შაინიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
ლაურა ჯიმშელეიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
ნელი ტეტუნაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
ეთერ ქუთათელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	247863753

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი წყაროთა
ფაქტობრივი მისამართი	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი წყაროთა
საფოსტო ინდექსი	6300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tskaroti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591712105

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება MES 3 25 0000548653 20.05.2025 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 16-17 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი წყაროთა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი წყაროთა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი წყაროთა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 20 მაისის MES 3 25 0000548653 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განვახორციელეთ ვიზიტი სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლაში მის. შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფ. წყაროთა , ა.წ . 16 და 17 ივნისს. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე მოხდა

დოკუმენტაციის შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან. ვიზიტისას შეფასდა ოთხივე სტანდარტი ,მათ შორის მეორე სტანდარტი თითოეული საფეხურისთვის, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის დაგეგმვა და განვითარება), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი/განხორციელებული საქმიანობა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 50	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.2.4.	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ,, ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მესამე პრიმა მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიციური მასწავლებლის შერჩევა/დასაქმება.*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს:* *ა) შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტურის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ მოპოვება;* *ბ) მიმართვის ან/და დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს: სკოლის ინფრასტრუქტურის მისადაგება სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს სკოლის ტერიტორიაზე ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილება, მოეწყოს ადაპტირებული სველი წერტილი.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს* **კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების შერჩევა/დასაქმება.**

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს* **კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების შერჩევა/დასაქმება.**

	განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს* **კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების შერჩევა/დასაქმება.**

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1.	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს*	*სკოლას მიეცა რჩევა მისიის განსაზღვრა დააფუძნოს სწორ გაგებას, ლოგიკურ განსჯას და თანმიმდევრულობას. მისია სკოლის იდენტობის საკვანძო კომპონენტია, ღირებულებებთან კომბინაციაში იგი უნდა ეუბნებოდეს სკოლის თანამშრომლებს, მშობლებს, მოსწავლეებს, თემს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, თუ რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეთ სკოლის მხრიდან.*

ინდიკატორი N1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს*	სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული გეგმის შედგენამდე გაანალიზოს გარემო ფაქტორები და მოახდინოს სკოლის ძლიერი მხარეების, სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების სათანადოდ იდენტიფიცირება. ანალიზის სწორად და ეფექტურად ჩატარება მნიშვნელოვანია, რადგან ამ ეტაპზე გამოვლენილ გამოწვევებზე/პრობლემებზე უნდა იდენტიფიცირდეს პრიორიტეტული გამოწვევები, განისაზღვროს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.
ინდიკატორი N1.2.2.4.	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის*	*სკოლას მიეცა რჩევა მონიტორინგის და შეფასების პროცესის თითოეულ ეტაპზე შექმნას სათანადო მტკიცებულებები რომელიც დაადასტურებს პროცესის მიმდინარეობას მაგ., თუ რომელიმე აქტივობა არ ან ვერ შესრულდა, რა რეაგირება მოჰყვა ამას: გეგმის კორექტირება, ჩანაწერების დაზუსტება, ვადების გადაწევა, აქტივობის ჩანაცვლება თუ სხვა. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.3.1.3.	*სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა*	*სკოლას მიეცა რჩევა სათანადოდ ასახოს სკოლის შინაგანაწესში, საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული პროცედურები. (საჩივრის განხილვის ვადები, მხარეთა უფლება-მოვალეობა და ა.შ)*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა*	*სკოლას მიეცა რჩევა - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.*

	უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.4.1.2.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლის მიეცა რჩევა კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა, დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა, ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა, სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი.*
ინდიკატორი N3.4.1.6.	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას*	*სკოლას მიეცა რჩევა:* *ა) უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სათანადო ჩართულობა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უზრუნველყოს იგი შესაბამისი რესურსებით, აგრეთვე უზრუნველყოს მისი დამოუკიდებლობა საქმიანობის განხორციელებისას.* *გ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის*

		ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია პროაქტიულად გამოაქვეყნოს სკოლის ვებგვერდზე ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით.
ინდიკატორი N3.4.1.8.	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის*	*სკოლას მიეცა რჩევა მრჩეველთა საბჭოს ფორმატში, სათანადოდ მოხდეს იმ საკითხების განხილვა/შეფასება, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის*
ინდიკატორი N3.5.1.2.	*დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის*	*საბიბლიოთეკო წიგნების ნაწილი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ასევე სკოლაში არ არის არც ანბანური, არც თემატური კატალოგები, რაც დაეხმარებოდა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა საბიბლიოთეკო რესურსის ხელმისაწვდომობას, აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა - ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დაამუშაოს საბიბლიოთეკო წესის მიხედვით.*
ინდიკატორი N3.7.1.2.	*სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა*	*სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფინანსების მართვის, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების წესი შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის სტრუქტურული ერთეულების კანონმდებლობით განსაზღვრულ ფუნქციებთან.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N4.1.1.1.	*სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა*	*სკოლის სამუშაო პრაქტიკის ანალიზით, დგინდება, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა არ არის სათანადოდ ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. სკოლას მიეცა რჩევა, სათანადო აქტივობების გამოყენებით (მაგალითად: მოსწავლეებისთვის დავალებების დარიგება და მათი ინფორმირება იმის თაობაზე, თუ რატომ და როგორ არიან ჩართულები პროექტში) უზრუნველყოს მოსწავლეთა თვითმმართველობის როლის გაზრდა. რეალური მონაწილეობა მოსწავლეთა თვითმმართველობას*

		აქტიურობისკენ უბიძგებს და შეუქმნის განცდას, რომ შეუძლიათ არსებულ მდგომარეობაზე ზემოქმედება და ნამდვილი ცვლილების განხორციელება. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა იცოდნენ, როგორ წარმოადგინონ ინიციატივა, გაავრცელონ ინფორმაცია, მიიღონ გადაწყვეტილება, გაიზიარონ პასუხისმგებლობა, შეადგინონ და განახორციელონ გეგმა.
ინდიკატორი N4.2.1.3	*მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად*	*სკოლას მიეცა რჩევა შიდა რეგულაციით განსაზღვროს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით), ხოლო მოსწავლის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნას დახმარების სხვადასხვა ფორმა, მაგალითად დამატებითი მეცადინეობა, კონსულტირება ვადებისა და ფორმის მითითებით. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს სხვადასხვა გზით ჰქონდეს მსგავსი სერვისების მიღების შესაძლებლობა.*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **სკოლას მიეცა რჩევა** საგნობრივ კურიკულუმებში უფრო კონკრეტულად აისახოს სასწავლო მიზნები, მეთოდები და რესურსები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებს პასუხობს. უცხოური ენები **რჩევა:** სასურველია, გაგრძელდეს კოორდინირებული მუშაობა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების გადახედვაზე, რათა ყველა საფეხურზე უკეთ დამკვიდრდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტები და მიზნობრივი ენობრივი კომპეტენციები.

ინდიკატორი N2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **სკოლას მიეცა რჩევა** დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის შინაარსში უფრო მკაფიოდ წარმოჩინდეს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრა, მათ შორი სწავლა-სწავლების მიზნების, ღირებულებების და შედეგების დონეზე. უცხოური ენები **სკოლას მიეცა რჩევა** მიზანშეწონილია კურიკულუმების გამდიდრება შემოქმედებითი და მოსწავლეზე მორგებული აქტივობებით, რომლებიც ხელს შეუწყობს ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ კონტექსტში. საზოგადოებრივი მეცნიერებები **სკოლას მიეცა რჩევა საგნობრივ კურიკულუმებში** 1. ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს; 2. სამიზნე ცნებები შესწორდეს შესაბამისი საფეხურისა და საგნის სტანდარტის მიხედვით; 3. კურიკულუმში აღწერილი უნდა იყოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემის სწავლების პრინციპები; 4. კურიკულუმში დეტალურად უნდა ჩანდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/საკითხებით დამუშავდება; 5. შედეგების ინდექსი შესწორდეს სტანდარტის შესაბამისად; 6. კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში.

ინდიკატორი N2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია კურიკულუმები ასახავდეს, როგორ ეხმიანება შერჩეული რესურსები მოსწავლეთა საჭიროებებს, განსხვავებულ სასწავლო სტილებს ან ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს. მიზანშეწონილია, შემუშავებულ კურიკულუმში მკაფიოდ აღინიშნოს, რომელი რესურსები და რა ფორმით გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში, რათა უკეთ შეფასდეს მათი შესაბამისობა და ეფექტიანობა სწავლის შედეგების მიღწევაში. უცხოური ენები **რჩევა:** სასურველია გაგრძელდეს სასწავლო პროცესში IT ტექნოლოგიებისა და მრავალფეროვანი ციფრული რესურსების გამოყენება, რაც გააუმჯობესებს მოსწავლის ჩართულობას და ხელს შეუწყობს ენობრივი უნარების მრავალმხრივ განვითარებას.
ინდიკატორი N2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **რჩევა:** სასურველია კურიკულუმში კონკრეტული მაგალითი იყოს მოცემული, როგორ ხდება საგაკვეთილო პროცესში შინაარსის, დროის დიფერენცირება. უცხოური ენები **რჩევა:** სასურველია, უცხო ენების მასწავლებლებმა მამომავალშიც აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული და ადაპტირებული სასწავლო აქტივობები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ეფექტურ ჩართულობას და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სწავლებას.

ინდიკატორი N2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **რჩევა:** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს სასურველია ახლდეს თემის, საკითხის და ცნების დასახელება. განმსაზღვრელი რუბრიკის კრიტერიუმებში უნდა ჩანდეს თემის ფარგლებში მიღწევის ინდიკატორის შესაბამისობა საგნობრივ ცნებასთან. მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს როგორ ხდება შუალედური და საფეხურებრივი მიღწევების ანალიზი. სასურველია ჩანდეს , როგორ უკავშირდება შეფასება მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს. უცხოური ენები **რჩევა:** მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკები ყველა ტიპის დავალებაზე იყოს მორგებული, საფეხურისა და დავალების სპეციფიკის შესაბამისად; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პოზიტიური უკუკავშირის როლს მოსწავლეთა პროგრესში. ესთეტიკური აღზრდა **რჩევა:** სასურველია დაიხვეწოს შეფასების რუბრიკები მეტად მოერგოს თემას და შესწავლის საკითს, იკითხებოდეს მასში თუ რომელი სამიზნე ცნების ქვეცნებებთან მიმართებით შეფასდა მოსწავლის ცოდნა.
ინდიკატორი N2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **სკოლას მიეცა რჩევა,** საგნობრივ კურიკულუმებში „სამიზნე ცნებების/ქვეცნებების“ კომპონენტში დაზუსტდეს თემაში/საკითხში დასამუშავებელი ქვეცნებები. უცხოური ენები **რჩევა:** სასურველია, გაძლიერდეს მიზნობრივი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში -

		მაგალითად, რეალურ კომუნიკაციაზე დაფუძნებული დავალებები, ინტერდისციპლინური კავშირები და IT რესურსების აქტიური გამოყენება.
ინდიკატორი N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **რჩევა:** სასურველია შეფასება ასახავდეს იმ პრაქტიკულ პროცესს, რაც ქმნის ობიექტურ და სამართლიან შეფასების გარემოს. ასევე სასურველია უკუკავშირის ფორმებიც. უცხოური ენები **რჩევა:** სასურველია, შეფასების პროცესში გაგრძელდეს კრიტერიუმების მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე ჩამოყალიბება და მრავალფეროვანი ფორმატების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს შეფასების ობიექტურობასა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.
ინდიკატორი N2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	უცხოური ენები **რჩევა:** სასურველია უცხოენების მასწავლებლებმა მომავალშიც გააგრძელონ სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი და ინტერაქტიული რესურსების გამოყენება, განსაკუთრებით ციფრული პლატფორმების, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ენობრივი უნარების განვითარებას. ესთეტიკური აღზრდა **რჩევა:** სასურველია დამატებითი რესურსები ყველა თემის ფარგლებში შეირჩეს. მათემატიკა

		რჩევა: სასურველი იქნება ციფრული რესურსების უფრო მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენება (მაგალითად: GeoGebra), რაც მეტად დააინტერესებს მოსწავლეებს და უფრო მკაფიოს გახდის საგნის წავლების საჭიროებას.
ინდიკატორი N2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **რჩევა:** სასურველია, რომ საგნობრივ კურიკულუმში უფრო დეტალურად იყოს აღნიშნული ამ რესურსების ტიპები და მათი ხარისხი, რადგან მხოლოდ ფოტო მასალიდან არ აღიქმება სრულად რესურსების ხარისხი და მისი ვალიდურობა.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(საბაზო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **სკოლას მიეცა რჩევა** საგნობრივ კურიკულუმებში უფრო კონკრეტულად აისახოს სასწავლო მიზნები, მეთოდები და რესურსები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებს პასუხობს. უცხოური ენები **რჩევა:** სასურველია, გაგრძელდეს კოორდინირებული მუშაობა საბაზო საფეხურის კურიკულუმების გადახედვაზე, რათა ყველა საფეხურზე უკეთ დამკვიდრდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტები და მიზნობრივი ენობრივი კომპეტენციები.

ინდიკატორი N2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **სკოლას მიეცა რჩევა** საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შინაარსში უფრო მკაფიოდ წარმოჩინდეს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრა, მათ შორის სწავლა-სწავლების მიზნების, ღირებულებების და შედეგების დონეზე. უცხოური ენები **სკოლას მიეცა რჩევა** მიზანშეწონილია კურიკულუმების გამდიდრება შემოქმედებითი და მოსწავლეზე მორგებული აქტივობებით, რომლებიც ხელს შეუწყობს ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ კონტექსტში. საზოგადოებრივი მეცნიერებები **სკოლას მიეცა რჩევა საგნობრივ კურიკულუმებში** 1. ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს; 2. სამიზნე ცნებები შესწორდეს შესაბამისი საფეხურისა და საგნის სტანდარტის მიხედვით; 3. კურიკულუმში აღწერილი უნდა იყოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემის სწავლების პრინციპები; 4. კურიკულუმში დეტალურად უნდა ჩანდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/საკითხებით დამუშავდება; 5. შედეგების ინდექსი შესწორდეს სტანდარტის შესაბამისად;

		6. კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში.
ინდიკატორი N2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია კურიკულუმები ასახავდეს, როგორ ეხმიანება შერჩეული რესურსები მოსწავლეთა საჭიროებებს, განსხვავებულ სასწავლო სტილებს ან ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს. მიზანშეწონილია, შემუშავებულ კურიკულუმში მკაფიოდ აღინიშნოს, რომელი რესურსები რა ფორმით გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში, რათა უკეთ შეფასდეს მათი შესაბამისობა და ეფექტიანობა სწავლის შედეგების მიღწევაში. უცხოური ენები **რჩევა:** სასურველია გაგრძელდეს სასწავლო პროცესში IT ტექნოლოგიებისა და მრავალფეროვანი ციფრული რესურსების გამოყენება, რაც გააუმჯობესებს მოსწავლის ჩართულობას და ხელს შეუწყობს ენობრივი უნარების მრავალმხრივ განვითარებას.
ინდიკატორი N2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **რჩევა:** სასურველია კურიკულუმში კონკრეტული მაგალითი იყოს მოცემული, როგორ ხდება საგაკვეთილო პროცესში შინაარსის, დროის დიფერენცირება. უცხოური ენები

		რჩევა: სასურველია, უცხო ენების მასწავლებლებმა მომავალშიც აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული და ადაპტირებული სასწავლო აქტივობები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ეფექტურ ჩართულობას და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სწავლებას.
ინდიკატორი N2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **რჩევა:** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს სასურველია ახლდეს თემის, საკითხის და ცნების დასახელება. განმსაზღვრელი რუბრიკის კრიტერიუმებში უნდა ჩანდეს თემის ფარგლებში მიღწევის ინდიკატორის შესაბამისობა საგნობრივ ცნებასთან. მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს როგორ ხდება შუალედური და საფეხურებრივი მიღწევების ანალიზი. სასურველია ჩანდეს , როგორ უკავშირდება შეფასება მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს. უცხოური ენები **რჩევა:** მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკები ყველა ტიპის დავალებაზე იყოს მორგებული, საფეხურისა და დავალების სპეციფიკის შესაბამისად; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პოზიტიური უკუკავშირის როლს მოსწავლეთა პროგრესში. ესთეტიკური აღზრდა **რჩევა:** სასურველია დაიხვეწოს შეფასების რუბრიკები მეტად მოერგოს თემას და შესწავლის საკითს, იკითხებოდეს მასში თუ რომელი სამიზნე ცნების ქვეცნებებთან მიმართებით შეფასდა მოსწავლის ცოდნა.
ინდიკატორი N2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

		სკოლას მიეცა რჩევა, საგნობრივ კურიკულუმებში „სამიზნე ცნებების/ქვეცნებების“ კომპონენტში დაზუსტდეს თემაში/საკითხში დასამუშავებელი ქვეცნებები. უცხოური ენები **რჩევა:** სასურველია, გაძლიერდეს მიზნობრივი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში - მაგალითად, რეალურ კომუნიკაციაზე დაფუძნებული დავალებები, ინტერდისციპლინური კავშირები და IT რესურსების აქტიური გამოყენება.
ინდიკატორი N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **რჩევა:** სასურველია შეფასება ასახავდეს იმ პრაქტიკულ პროცესს, რაც ქმნის ობიექტურ და სამართლიან შეფასების გარემოს. ასევე სასურველია უკუკავშირის ფორმებიც. უცხოური ენები **რჩევა:** სასურველია, შეფასების პროცესში გაგრძელდეს კრიტერიუმების მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე ჩამოყალიბება და მრავალფეროვანი ფორმატების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს შეფასების ობიექტურობასა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.
ინდიკატორი N2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	უცხოური ენები **რჩევა:** სასურველია უცხო ენების მასწავლებლებმა მომავალშიც გააგრძელონ სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი და ინტერაქტიული რესურსების გამოყენება, განსაკუთრებით ციფრული პლატფორმების, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ენობრივი უნარების განვითარებას.

		ესთეტიკური აღზრდა **რჩევა:** სასურველია დამატებითი რესურსები ყველა თემის ფარგლებში შეირჩეს. მათემატიკა **რჩევა:** სასურველი იქნება ციფრული რესურსების უფრო მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენება (მაგალითად: GeoGebra), რაც მეტად დააინტერესებს მოსწავლეებს და უფრო მკაფიოს გახდის საგნის სწავლების საჭიროებას.
ინდიკატორი N2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **რჩევა:** სასურველია, რომ საგნობრივ კურიკულუმში უფრო დეტალურად იყოს აღნიშნული ამ რესურსების ტიპები და მათი ხარისხი, რადგან მხოლოდ ფოტო მასალიდან არ აღიქმება სრულად რესურსების ხარისხი და მისი ვალიდურობა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **სკოლას მიეცა რჩევა** საგნობრივ კურიკულუმებში უფრო კონკრეტულად აისახოს სასწავლო მიზნები, მეთოდები და რესურსები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებს პასუხობს. უცხოური ენები

		რჩევა: სასურველია, გაგრძელდეს კოორდინირებული მუშაობა საშუალო საფეხურის კურიკულუმების გადახედვაზე, რათა ყველა საფეხურზე უკეთ დამკვიდრდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტები და მიზნობრივი ენობრივი კომპეტენციები.
ინდიკატორი N2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **სკოლას მიეცა რჩევა** კურიკულუმის შინაარსში უფრო მკაფიოდ წარმოჩინდეს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრა, მათ შორის სწავლა-სწავლების მიზნების, ღირებულებების და შედეგების დონეზე. უცხოური ენები **სკოლას მიეცა რჩევა** მიზანშეწონილია კურიკულუმების გამდიდრება შემოქმედებითი და მოსწავლეზე მორგებული აქტივობებით, რომლებიც ხელს შეუწყობს ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ კონტექსტში. საზოგადოებრივი მეცნიერებები **სკოლას მიეცა რჩევა საგნობრივ კურიკულუმებში** 1. ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს; 2. სამიზნე ცნებები შესწორდეს შესაბამისი საფეხურისა და საგნის სტანდარტის მიხედვით; 3. კურიკულუმში აღწერილი უნდა იყოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემის სწავლების პრინციპები; 4. კურიკულუმში დეტალურად უნდა ჩანდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/საკითხებით დამუშავდება;

		5. შედეგების ინდექსი შესწორდეს სტანდარტის შესაბამისად; 6. კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში. 7. 2025-2026 სასწავლო წლისთვის სკოლამ შექმნას მე-11 კლასის ისტორიის კურიკულუმი,
ინდიკატორი N2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია კურიკულუმები ასახავდეს, როგორ ეხმიანება შერჩეული რესურსები მოსწავლეთა საჭიროებებს, განსხვავებულ სასწავლო სტილებს ან ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს. მიზანშეწონილია, შემუშავებულ კურიკულუმში მკაფიოდ აღინიშნოს, რომელი რესურსები რა ფორმით გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში, რათა უკეთ შეფასდეს მათი შესაბამისობა და ეფექტიანობა სწავლის შედეგების მიღწევაში. უცხოური ენები **რჩევა:** სასურველია გაგრძელდეს სასწავლო პროცესში IT ტექნოლოგიებისა და მრავალფეროვანი ციფრული რესურსების გამოყენება, რაც გააუმჯობესებს მოსწავლის ჩართულობას და ხელსშეუწყობს ენობრივი უნარების მრავალმხრივ განვითარებას.
ინდიკატორი N2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **რჩევა:** სასურველია კურიკულუმში კონკრეტული მაგალითი იყოს მოცემული, როგორ ხდება საგაკვეთილო პროცესში შინაარსის, დროის დიფერენცირება. უცხოური ენები

		რჩევა: სასურველია, უცხო ენების მასწავლებლებმა მომავალშიც აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული და ადაპტირებული სასწავლო აქტივობები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ეფექტურ ჩართულობას და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სწავლებას.
ინდიკატორი N2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **რჩევა:** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს სასურველია ახლდეს თემის, საკითხის და ცნების დასახელება. განმსაზღვრელი რუბრიკის კრიტერიუმებში უნდა ჩანდეს თემის ფარგლებში მიღწევის ინდიკატორის შესაბამისობა საგნობრივ ცნებასთან. მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს როგორ ხდება შუალედური და საფეხურებრივი მიღწევების ანალიზი. სასურველია ჩანდეს , როგორ უკავშირდება შეფასება მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს. უცხოური ენები **რჩევა:** მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკები ყველა ტიპის დავალებაზე იყოს მორგებული,საფეხურისა და დავალების სპეციფიკის შესაბამისად; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პოზიტიური უკუკავშირის როლს მოსწავლეთა პროგრესში. ესთეტიკური აღზრდა **რჩევა:** სასურველია დაიხვეწოს შეფასების რუბრიკები მეტად მოერგოს თემას და შესწავლის საკითს, იკითხებოდეს მასში თუ რომელი სამიზნე ცნების ქვეცნებებთან მიმართებით შეფასდა მოსწავლის ცოდნა.
ინდიკატორი N2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **სკოლას მიეცა რჩევა,** საგნობრივ კურიკულუმებში „სამიზნე ცნებების/ქვეცნებების“ კომპონენტში დაზუსტდეს თემაში/საკითხში დასამუშავებელი ქვეცნებები.

		უცხოური ენები **რჩევა:** სასურველია, გაძლიერდეს მიზნობრივი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში - მაგალითად, რეალურ კომუნიკაციაზე დაფუძნებული დავალებები, ინტერდისციპლინური კავშირები და IT რესურსების აქტიური გამოყენება.
ინდიკატორი N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **რჩევა:** სასურველია შეფასება ასახავდეს იმ პრაქტიკულ პროცესს, რაც ქმნის ობიექტურ და სამართლიან შეფასების გარემოს. ასევე სასურველია უკუკავშირის ფორმებიც. უცხოური ენები **რჩევა:** სასურველია, შეფასების პროცესში გაგრძელდეს კრიტერიუმების მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე ჩამოყალიბება და მრავალფეროვანი ფორმატების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს შეფასების ობიექტურობასა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.
ინდიკატორი N2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	უცხოური ენები **რჩევა:** სასურველია უცხოენების მასწავლებლებმა მომავალშიც გააგრძელონ სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი და ინტერაქტიული რესურსების გამოყენება, განსაკუთრებით ციფრული პლატფორმების, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ენობრივი უნარების განვითარებას. ესთეტიკური აღზრდა

		რჩევა: სასურველია დამატებითი რესურსები ყველა თემის ფარგლებში შეირჩეს. მათემატიკა **რჩევა:** სასურველი იქნება ციფრული რესურსების უფრო მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენება (მაგალითად: GeoGebra), რაც მეტად დააინტერესებს მოსწავლეებს და უფრო მკაფიოს გახდის საგნის წავლების საჭიროებას.
ინდიკატორი N2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **რჩევა:** სასურველია, რომ საგნობრივ კურიკულუმში უფრო დეტალურად იყოს აღნიშნული ამ რესურსების ტიპები და მათი ხარისხი, რადგან მხოლოდ ფოტო მასალიდან არ აღიქმება სრულად რესურსების ხარისხი და მისი ვალიდურობა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლის მიერ (2025 წლის 11 ივლისის MES 8 25 0000855675 და 15 ივლისის კორესპონდენციებით) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში-ავტორიზაციის დებულება) 25[1]-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ კონკრეტული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გამოყოფილ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების მე-15[2] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ექსპერტთა შეფასება შეიცვალა შემდეგ ხარვეზებთან მიმართებით:

***ინდიკატორი* N 3.1.2.4.**

სკოლაში დასაქმებული ხუთი მასწავლებლის კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში, ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მესამე პრიმა მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან , კერძოდ:

ა) ისტორიის პედაგოგი;

ბ) ინგლისური ენის პედაგოგი;

გ) დაწყებითი საფეხურის პედაგოგი;

დ) მათემატიკის პედაგოგი, რომელიც ასევე ასწავლის სპორტს და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს;

ე) ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი.

აღნიშნული მასწავლებლების კვალიფიკაცია არ არის დადასტურებული მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

***ინდიკატორი* N 3.4.1.1.**

სკოლას არ აქვს:

ა) შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;

ბ) დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან/და სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

ინდიკატორი N 3.5.1.4.

სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის მისადაგებული სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ სკოლის შენობა, ეზო არ იძლევა ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილების საშუალებას. სკოლას არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

ინდიკატორი N 3.7.1.2.

სკოლას ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა არ აქვს შემუშავებული, რაც ზრდის რისკს საბიუჯეტო ასიგნებები განიკარგოს არარაციონალურად.

ინდიკატორი N 2.2.2.4.

დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე სკოლაში დასაქმებული პედაგოგების კვალიფიკაცია არ მოდის შესაბამისობაში, ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მესამე პრიმა მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან , კერძოდ:
ა) ისტორიის პედაგოგი;
ბ) ინგლისური ენის პედაგოგი;
გ) მათემატიკის პედაგოგი, რომელიც ასევე ასწავლის სპორტს;
დ) ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი.
ე) კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგი;
აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, სკოლას არ ჰყავს სასკოლო საათობრივი ბადით, გათვალისწინებული საგაკვეთილო საათების შესაბამისი, კვალიფიციური ადამიანური რესურსი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობი უზრუნველყოფის გეგმის, არგუმენტირებული პოზიციისა და ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულების გაზიარების შედეგად ინდიკატორი 3.1.2.4; 3.4.1.1. და 2.2.2.4 (დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე) მოთხოვნები მეტწილად იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო ინდიკატორი 3.7.1.2. სრულად დაკმაყოფილებული და ინდიკატორი 3.5.1.4. ნაწილობრივ დაკმაყოფილებული.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლის (შემდგომში-სკოლა) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, სკოლის მისიით გაცხადებულია, რომ სკოლა ორიენტირებულია, უზრუნველყოს უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემო, 21-ე საუკუნის შესაფერისი განათლების მქონე, კრიტიკულად მოაზროვნე, დამოუკიდებელი, ტრადიციებისა და კულტურის მქონე მოქალაქის აღზრდა. სკოლის ხედვაში ასახულია სკოლის მისწრაფებები, როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ, კერძოდ სკოლის ხედვაა, - "სკოლაში ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს ცოდნის შეძენას, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას და დემოკრატიულ საზოგადოებაში თანაცხოვრებისთვის საჭირო დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ".
სკოლას მიეცა რჩევა მისიის განსაზღვრა დააფუძნოს სწორ გააზრებას, ლოგიკურ განსჯას და თანმიმდევრულობას. მისია სკოლის იდენტობის საკვანძო კომპონენტია, ღირებულებებთან კომბინაციაში იგი უნდა ეუბნებოდეს სკოლის თანამშრომლებს, მშობლებს, მოსწავლეებს, თემს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, თუ რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეთ სკოლის მხრიდან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

მისიისა და ხედვის შინაარსით სკოლა მოიაზრებს საკუთარ როლს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის კონტექსტში. სკოლას აქვს პიროვნული ზრდის, სასკოლო თემის წევრებისთვის პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებები (სკოლის მიერ შემუშავებულია არაფორმალური განათლების მექანიზმები,

პროფესიული მხარდაჭერისა და განვითარების ხედვა და მექანიზმი, სკოლაში არის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები). სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები (შიდა დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები და სხვა) აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით), რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნა სკოლის დირექტორის 2024 წლის 16 სექტებრის N 01-02/07 ბრძანება, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, შიდა სასკოლო ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა განაცხადი სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის , სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 16 სექტემბრის N 01-02/04 ბრძანებით) ანალიზით დგინდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრულია მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ხელშემწყობი მკაფიო მექანიზმები, პროცედურები, რომლითაც ხელშეწყობილი იქნება სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ეფექტური ჩართულობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტის თანახმად მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებისათვის, სკოლა იყენებს ელექტრონული საკომუნიკაციო არხებს, გარდა აღნიშნულისა ხდება სასკოლო საზოგადებასთან შეხვედრები, დირექციის, დამრიგებლის, კათედრის ხელმძღვანელების ჩართულობით და უკუკავშირის მიღება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე და სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე. მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და ცნობილია დაინტერესებული ყველა მხარისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025-2032 წწ.
2. სკოლის დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
3. სტრატეგიული დაგეგვმის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი.
4. სკოლის ვებ-გვერდი (skolebi.emis.ge).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტით, იფარება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები, მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა (რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ) არის შვიდწლიანი, (2025- 2032 წწ) სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზანს და მიზნის მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და დგინდება აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობა. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს ინფორმაციას გარემო ფაქტორების შესწავლისა და SWOT (ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) ანალიზის შესახებ, რომელიც სათანადოდ არ ასახავს სკოლის რეალურ მდგომარეობას (კერძოდ არასათანადოდ არის შეფასებული სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები). სტრატეგიული დაგეგმვის დასაწყებად სკოლამ უნდა განსაზღვროს ის წერტილი, სადაც ის იმყოფება კონკრეტულ მომენტში. ამისთვის სკოლამ სათანადოდ უნდა შეაფასოს მისი არსებული მდგომარეობა. საწყისი წერტილის განსაზღვრა გულისხმობს იმ მოცემულობის ანალიზს, რომელშიც იმყოფება სკოლა. ანალიზის სწორად და ეფექტურად ჩატარება მნიშვნელოვანია, რადგან ამ ეტაპზე გამოვლენილ გამოწვევებზე/პრობლემებზე უნდა იდენტიფიცირდეს პრიორიტეტული გამოწვევები, განისაზღვროს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. შესაბამისად **სკოლას მიეცა რჩევა** სტრატეგიული გეგმის შედგენამდე გაანალიზოს გარემო ფაქტორები და მოახდინოს სკოლის ძლიერი მხარეების, სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების სათანადოდ იდენტიფიცირება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია 2025-2026 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. სამოქმედო გეგმა, ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში (2025-2026 წწ) მოცემულია გაზომვადი ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც იქნება რეალისტური. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი.
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025-2032 წწ.
3. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 წწ.
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის 2.4. პუნქტი, რომლის თანახმადაც სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. სკოლის მიერ დასახული მიზნების მონიტორინგს ახორციელებს ორგანიზაციის ადმინისტრაცია. სტრატეგიული გეგმის დამტკიცებიდან 3 წლის შემდეგ და/ან საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი ქმნის მონიტორინგის ჯგუფს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს კომპეტენციის შესაბამისად. შესაბამისი პასუხისმგებელი პირები შეისწავლიან საკითხს, აკვირდებიან შესრულების ინდიკატორებს და ახდენენ მათ სისტემატურ გადამოწმებას. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, განხორციელებული არ არის, თუმცა სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ანალიზით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მზაობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ არის შეფასებული, თუმცა სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების მოსალოდნელი შედეგები ყველა აქტივობისთვის ცნობილი და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდება სამუშაო შეხვედრებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ არის შეფასებული, თუმცა სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **სკოლას მიეცა რჩევა** მონიტორინგის და შეფასების პროცესის თითოეულ ეტაპზე შექმნას სათანადო მტკიცებულებები რომელიც დაადასტურებს პროცესის მიმდინარეობას მაგ., თუ რომელიმე აქტივობა არ ან ვერ შესრულდა, რა რეაგირება მოჰყვა ამას: გეგმის კორექტირება, ჩანაწერების დაზუსტება, ვადების გადაწევა, აქტივობის ჩანაცვლება თუ სხვა. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილია, სკოლის სტრუქტურის შემადგენლობის და პირთა ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება (2025 წლის 30 მაისის N 01-02/36 ბრძანება). დოკუმენტი აზუსტებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას. სკოლის საშტატო განრიგით დასაქმებული პირები არიან: დირექტორი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, საგნის მასწავლებლები. არასაშტატო პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები: დამლაგებელი (ორი), დარაჯი (ორი), ექთანი, წრის ხელმძღვანელი. სკოლის სტრუქტურული მოწყობა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან, კერძოდ სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით, არ არის გადაფარული სხვადასხვა დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრუქტურის შემადგენლობის და პირთა ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების შესახებ დოკუმენტი
2. საშტატო განრიგი
3. შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის პროცედურებს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებია:

ა) სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა;

ბ) დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება;

გ) დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

სკოლის მიერ წარმოდგენილია შრომის შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით დარეგულირებულია შემცვლელი მასწავლებლის სამუშაოზე აყვანის წესი/პროცედურა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლა პერსონალის შერჩევისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით. სკოლას პერსონალის მიმართ დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები (სკოლის დირექტორის 2025 წლის 30 მაისის N 01-02/36 ბრძანება) დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებით დგინდება, რომ თანამშრომლის პირად საქმეში განთავსებულია ცნობა ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას პერსონალის მიმართ დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები (სკოლის დირექტორის 2025 წლის 30 მაისის N 01-02/36 ბრძანება). სკოლის მიერ 2025 წლის 11 ივლისის MES 8 25 0000855675 კორესპონდენციით წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ, რომლის თანახმადაც სკოლამ კვალიფიციური მასწავლებლების შერჩევა უნდა უზრუნველყოს 2026 წლის 03 ივლისის ჩათვლით. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ,, ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მესამე პრიმა მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიციური მასწავლებლის შერჩევა/დასაქმება.

ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მართვა ხორციელდება მონაწილეობით, რაც გულისხმობს პერსონალის ჩართულობას და თანამშრომლობას დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში. სკოლის პედაგოგების და მშობელთა წარმომადგენლები კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეული არიან სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში, სკოლის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფები (მაგ: სტრატეგიული გეგმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფი) რაც უზრუნველყოფს მონაწილეობით მმართველობის განხორციელებას. პედაგოგებთან გასაუბრებით და განხორციელებული სასკოლო პროექტებით დგინდება, რომ სკოლაში არის მართვის მონაწილეობითი სტილი და ორგანიზაციული კულტურა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო საზოგადოებაში უფრო მეტად ჩამოყალიბდეს „ჩვენ" განცდა, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს ინიციატივების განვითარებას გუნდში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკის ცალკეული მაგალითები და მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში. პედაგოგები გამოყოფენ „პროექტი ჩემს გაკვეთილზე" ფარგლებში შესრულებულ აქტივობებს, კერძოდ , ,,წიგნიერება, ციფრული წიგნიერების განვითარება მოქალაქეობის გაკვეთილზე" , ,,გადავარჩინოთ სოფელში ხელოვნება" და ,,STEM სწავლება ფიზიკაში" , პედაგოგები აღნიშნავენ რომ მსგავსი სახის პროექტები საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ არსებულ გამოცდილებას, დასვან კითხვები, მიიღონ პასუხები, მოტივირდნენ კონსტრუქციული, პოზიტიური უკუკავშირით და აღიარებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი
2. შრომითი ხელშეკრულება წამყვან მასწავლებელთან
3. შრომითი ხელშეკრულება უფროს მასწავლებელთან.
4. განხორციელებული პროექტების ფოტომასალა.
5. მასწავლებელთა პირადი საქმეები
6. სკოლის მიერ დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-19 მუხლი არეგულირებს დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს , რომლის მიხედვითაც ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს.

სკოლის მიერ პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად: შეფასების პროცესის ძირითადი ეტაპებია: (ა) დაგეგმვა; (ბ) თვითშეფასება; (გ) გასაუბრება; (დ) საბოლოო შეფასება, ხოლო პერსონალის განვითარების ხედვა და პოლიტიკა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: (ა) მოქნილობა; (ბ) სწავლის მხარდაჭერა; (გ) შეფასება, როგორც სწავლის საშუალება; (დ) პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა; (დ) უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-19 მუხლი არეგულირებს დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს , რომლის მიხედვითაც ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს.

სკოლის მიერ პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად: შეფასების პროცესის ძირითადი ეტაპებია: (ა) დაგეგმვა; (ბ) თვითშეფასება; (გ)

გასაუბრება; (დ) საბოლოო შეფასება, ხოლო პერსონალის განვითარების ხედვა და პოლიტიკა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: (ა) მოქნილობა; (ბ) სწავლის მხარდაჭერა; (გ) შეფასება, როგორც სწავლის საშუალება; (დ) პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა; (დ) უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს, პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა ჩართული იყო სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, (პროექტი ,,ჩემს გაკვეთილზე" , კონფერენცია ,,სწავლა-სწავლებისა და განათლების მართვის თანამედროვე მიდგომები", ტრენინგ-კურსი ,,ფინანსური განათლება სკოლებში", ციფრული ინჟინერია) პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. ექსპერტთა მოსაზრებით დასტურდება სკოლის მზაობა ხელშეწყობილი იქნას სკოლის ბაზაზე პერსონალის კარიერული ზრდა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მისი სოციალიზაციისათვის საჭირო პროცედურებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტში. სკოლის დირექციასთან პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება სკოლის მზაობა უზრუნველყოს ახალი თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ეფექტური მართვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის პედაგოგებთან, პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის მიერ დადგენილი მექანიზმების თანახმად თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: (ა) მადლობის გამოცხადება; (გ) სიგელით დაჯილდოება; (დ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; (ე) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი;
2. სკოლის შინაგანაწესი.
3. სკოლის პერსონალის ტრენინგ-კურსებში მონაწილეობის მასალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც აღწერს და არეგულირებს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. დოკუმენტი არეგულირებს ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესები, კერძოდ მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის მიერ წარმოდგენილია შრომის შინაგანაწესი, შინაგანაწესის 22-ე მუხლი არეგულირებს საჩივრის განხილვის წესს. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი

წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ინსტრუქციას. ვინაიდან სკოლის შინაგანაწესში, არ არის სრულყოფილად გაწერილი საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული საკითხები (საჩივრის განხილვის ვადები, მხარეთა უფლება-მოვალეობა და ა.შ) **სკოლას მიეცა რჩევა** სათანადოდ ასახოს სკოლის შინაგანაწესში, საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული პროცედურები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დარღვევაზე სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, აღწერილია დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა, უფლებამოსილების ფარგლები. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
2. სკოლის შინაგანაწესი
3. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის დირექციის, მასწავლებლების განმარტებით მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის ოფიციალურ სოციალურ გვერდებს. სკოლის მიერ სოციალური გვერდის

საშუალებით ვრცელდება მართვის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია და აღნიშნული საშუალებით ხდება უკუკავშირის მიღება. სკოლას აქვს ვებ გვერდი (skolebi.emis.ge - ერთიანი პორტალი) სკოლის დირექციის განმარტებით სკოლაში შემოსული მოქალაქეების ინფორმირებაზე, მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს. იმ შემთხვევაში თუ საკითხი სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, განსაზღვრავს ვიზიტორისთვის შემდგომ ადრესატს სამსახურებრივი პოზიციის გათვალისწინებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით (16-09-2024. ბრძანება N 01-02/09) დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის კოლეგიალური ორგანოები დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (მაგალითად, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. Skolebi.emis.ge (ერთიანი პორტალი).

2. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი.
3. მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ ბრძანება
4. დისციპლინური კომიტეტის არჩევის შესახებ სამეურვეო საბჭოს ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირი. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეო სათვალთვალო სისტემით. სკოლის გარე პერიმეტრი მოწესრიგებულია, სკოლის ტერიტორია არის შემოღობილი. სკოლას აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლის მიერ 2025 წლის 11 ივლისის MES 8 25 0000855675 კორესპონდენციით წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ, რომლის თანახმადაც სკოლამ 2026 წლის 02 ივნისის ჩათვლით უნდა უზრუნველყოს:

ა) შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტურის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ მოპოვება;

ბ) მიმართვის ან/და დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე **სკოლას მიეცა რეკომენდაცია** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს: ა) შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტურის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ მოპოვება; ბ) მიმართვის ან/და დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, კერძოდ მოწყობილია ექთნის კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და რომლის კვალიფიკაციაც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლას გაწერილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. **სკოლას მიეცა რჩევა** კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა, დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა, ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა, ასევე სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი. (აღნიშნული დოკუმენტების წარმოების ვალდებულება დადგენილია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი) **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირი. სკოლაში არსებობს ინსტრუმენტი/მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა სკოლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნეს ნივთები, რომელთა ქონა/გამოყენება სკოლის ტერიტორიაზე აკრძალულია, კერძოდ სკოლა აქვს მეტალოდეტექტორი. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია (შინაგანაწესის 23-ე მუხლი) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილების წესი, კერძოდ შინაგანაწესი ზღუდავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან სკოლის ტერიტორიაზე შესვლას სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს, სასწავლო გარემოს ემოციურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც იქნებოდა დამატებითი შესაძლებლობა მოსწავლეებს, დაინტერესებულ პირებს საჭიროების შემთხვევაში მიეღოთ კვალიფიციური ფსიქოლოგიური მომსახურება. სკოლის მიერ გაწერილია შიდა ინსტრუქცია ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში რეფერირების პროცედურების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლაში სველი წერტილები განთავსებულია, მხოლოდ სკოლის პირველ სართულზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ, სკოლის მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს. შუახევის რესურსცენტრის უფროსის 2025 წლის 29 მაისის MES 1 25 0001-02/46 ბრძანებით გამოყოფილია რესურსცენტრის თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს, სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებას. სკოლის დირექტორის 2025 წლის 30 მაისის N 01-02/35 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხები.

სკოლას მიეცა რჩევა:

ა) უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სათანადო ჩართულობა მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უზრუნველყოს იგი შესაბამისი რესურსებით, აგრეთვე უზრუნველყოს მისი დამოუკიდებლობა საქმიანობის განხორციელებისას.

ბ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია პროაქტიულად გამოაქვეყნოს სკოლის ვებგვერდზე ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 02 ივნისის N 01-02/39 ბრძანებით) , რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში , ინახება სპეციალურად გამოყოფილ კარადაში. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. სკოლის თანამშრომლები გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. სკოლის მიერ გაწერილი მექანიზმებით შესაძლებელია ინფორმაცია დაცული იქნას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვალდებულია განიხილოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, გასცეს შესაბამისი

რეკომენდაციები და მოისმინოს სკოლის დირექტორის ანგარიში რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. **სკოლას მიეცა რჩევა** მრჩეველთა საბჭოს ფორმატში, სათანადოდ მოხდეს იმ საკითხების განხილვა/შეფასება, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
2.შუახევის რესურსცენტრის უფროსის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის გამოყოფის შესახებ;
3.სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულობის განსაზღვრის შესახებ;
4.საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
5.სკოლის შინაგანაწესი;
6.ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია
7.სკოლის ექთნის დიპლომი
8.სკოლის ექთანთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
9.სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის ინფრასტრუქტურა, იძლევა საშუალებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, გათბობა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლა განთავსებულია ორ სართულიან ხის შენობაში. სასწავლო შენობაში განთავსებულია 10 საკლასო ოთახი, მათ შორის პირველ სართულზე 8 საკლასო ოთახი, ხოლო მეორე სართულზე 2 საკლასო ოთახი. დაწყებით საფეხურზე შექმნილია კლას-კომპლექტი. გარდა საკლასო ოთახებისა შენობაში ასევე არის: ბიბლიოთეკა, დირექტორის ოთახი, ექთნის კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი, სამასწავლებლო, სკოლის შენობაში არ არის სივრცე სააქტო და სპორტული დარბაზისთვის. სკოლის ეზოში განთავსებულია ღია სპორტული მოედანი, სადაც გარდა სპორტის გაკვეთილებისა იმართება სკოლის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ღონისძიებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს სასკოლო რესურსების ხელმისაწვდომობა, რადგან სკოლის წარმომადგენლის მოსაზრებით, ხელმისაწვდომობა გულისხმობს ღიაობას, გამჭვირვალობას და მიუკერძოებლობას სასკოლო საზოგადოების განურჩევლად ყველა წევრისთვის დაწესებულების ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით სარგებლობისას. ხელმისაწვდომობა რესურსებზე ასევე, მნიშვნელოვანი მოტივატორია მასწავლებლებისთვის, სასკოლო გარემოში მეტი დრო

დაუთმონ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ ან ჯგუფურ მუშაობას. სკოლის მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ **წიგნების ნაწილი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ასევე სკოლაში არ არის არც ანბანური, არც თემატური კატალოგები, რაც დაეხმარებოდა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა საბიბლიოთეკო რესურსის ხელმისაწვდომობას. სკოლას მიეცა რჩევა** - ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დაამუშაოს საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N 01-02/17. 24-03-2025) დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესს. სკოლის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც სკოლას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ დღე შაბათ –კვირისა და შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა 10:00 საათიდან 17:00 საათამდე. ბიბლიოთეკის გამართული მუშაობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეთა განათლების, კულტურისა და ზოგადი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რესურსით უზრუნველყოფა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ეზოს მნიშვნელოვან ნაწილზე განთავსებულია, ღია სპორტული მოედანი, რის გამოც მხოლოდ ვიწრო გასასვლელი ბილიკით არის შესაძლებელი სკოლის შენობამდე მისვლა, აღნიშნული საფეხმავლო ბილიკი საჭიროებს გაფართოებას და უსაფრთხოების დამცავი ბარიერის (მოაჯირი) მოწყობას, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული მისასვლელი უქმნის ბარიერს, როგორც ეტლით მოსარგებლე პირებს, ასევე ზრდის ბავშვთა უსაფრთხო მოძრაობის რისკს.

სკოლის მიერ 2025 წლის 15 ივლისის კორესპონდენციით წარმოდგენილი იქნა კორექტირებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლამ 2027 წლის 07 აპრილის ჩათვლით უნდა უზრუნველყოს: სკოლის

ინფრასტრუქტურის მისადაგება სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

მიუხედავად იმას, რომ სკოლას ავტორიზაციის პერიოდში არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის თანახმად, სკოლა ვალდებულია დაიცვას ,,გონივრული მისადაგების" პრინციპი, რაც გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას, ამასთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის უზენაესი ინტერესები. ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სკოლის ინფრასტრუქტურა უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს: სკოლის ინფრასტრუქტურის მისადაგება სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს სკოლის ტერიტორიაზე ეტლით მოსარგებლე პირთა გადაადგილება, მოეწყოს ადაპტირებული სველი წერტილი.

ინდიკატორის მოთხოვნები ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის შენობა-ნაგებობა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, კერძოდ სკოლის ეზოში განთავსებულია ღია სპორტული მოედანი, სკოლას აქვს შესაბამისი ავეჯი/ინვენტარი. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაკვეთილების შემდეგ დარჩნენ სკოლაში კონკრეტული აქტივობების დაგეგმვის მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.*
2. *ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა.*
3. *ბიბლიოთეკართან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება*
4. *სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლას აქვს 12 ერთეული სტანდარტული ლეპტოპი, 5 ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერი და პროექტორები, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლის ინფორმაციული

ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ის, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიებით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს განრიგს, რომელიც თავსდება კომპიუტერულ ლაბორატორიასა და ბიბლიოთეკაში. სივრცე ღიაა 9 საათიდან 4 საათამდე. უქმე დღეებში სივრცე გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში. სკოლას, შიდა რეგულაციით დარეგულირებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 01-02/08 16.09.2024 წ) **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სკოლაში მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.
2. სკოლის ინვენტარიზაციის მასალები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას წარმოდგენილი აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. წესი სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. აღნიშნული წესი შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება. საქმისწარმოების წესი მოიცავს ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, სკოლაში საქმისწარმოება მატერიალურთან ერთად ხორციელდება ელექტრონული („eflow") სისტემის საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის „ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" N08/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის დირექციასთან, საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დგინდება, რომ დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1.საქმისწარმოების წესი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის მიზნით სკოლა იყენებს ფეისბუქ გვერდს და ვებ-გვერდს, აღნიშნულ ელექტრონულ რესურსებზე სკოლის მიერ პერიოდულად ხდება, საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებით, შესაბამისი ინფორმაციის განთავსება, არსებული ინფორმაციის განახლება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ არის სანდო და უტყუარი. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში დადასტურებას. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ინფორმაციის მართვადობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენოს არსებული საკომუნიკაციო არხები, მიღებული უკუკავშირი გამოიყენოს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზედაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სკოლის ბიუჯეტი, ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები ამ ეტაპზე არ არის შეფასებული და შესაბამისად გამოქვეყნებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. Skolebi.emis.ge (ერთიანი პორტალი)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება), სკოლის მიერ წარმოდგენილია 2025 წლის ბიუჯეტი რომელიც მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საჯარო სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა, დამტკიცებაზე უფლებამოსილ ორგანოებს, კერძოდ სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს იბარებს დირექტორის ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით. სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი,

დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 13 თებერვალს (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 01 13.02.2025 წ), რაც არ მოდის შესაბამისობაში, ზოგადად ყველა დონის საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის დადგენილ მოთხოვნასთან, რომლის თანახმადაც, საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია მომავალი წლის ბიუჯეტი დაამტკიცოს ყოველი წლის არაუგვიანეს 31 დეკემბრისა. საბიუჯეტო პროცესი მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

სკოლის მიერ 2025 წლის 11 ივლისის MES 8 25 0000855675 კორესპონდენციით წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ, კერძოდ წარმოდგენილი იქნა სკოლის ფინანსების მართვის, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 01-02/44 .11 ივლისი 2025 წ.) ***სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფინანსების მართვის, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების წესი შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის სტრუქტურული ერთეულების კანონმდებლობით განსაზღვრულ ფუნქციებთან.***

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი
2. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმის, სკოლის ბიუჯეტის დამტკიცებაზე
3. სკოლის ფინანსების მართვის, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების დაცვის გარანტიებს, შინაგანაწესში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ ასევე შემუშავებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის დარღვეული უფლებების შესახებ საჩივრის წარდგენის წესს და განხილვის პროცედურას. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლის შიდა რეგულაციებით მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია.

სკოლის შიდა რეგულაციით, მოსწავლეებს აქვთ უფლებას, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ცხოვრების იმ ასპექტების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, რომლებიც უშუალოდ მათ ეხებათ.

სკოლის სამუშაო პრაქტიკის ანალიზით, დგინდება, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა არ არის სათანადოდ ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. **სკოლას მიეცა რჩევა,** სათანადო აქტივობების გამოყენებით (მაგალითად: მოსწავლეებისთვის დავალებების დარიგება და მათი ინფორმირება იმის თაობაზე, თუ რატომ და როგორ არიან ჩართულები პროექტში) უზრუნველყოს მოსწავლეთა თვითმმართველობის როლის გაზრდა. რეალური მონაწილეობა მოსწავლეთა თვითმმართველობას აქტიურობისკენ უბიძგებს და შეუქმნის განცდას, რომ შეუძლიათ არსებულ მდგომარეობაზე ზემოქმედება და ნამდვილი ცვლილების განხორციელება. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა იცოდნენ, როგორ წარმოადგინონ ინიციატივა, გაავრცელონ ინფორმაცია, მიიღონ გადაწყვეტილება, გაიზიარონ პასუხისმგებლობა, შეადგინონ და განახორციელონ გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამა, რომლის თანახმადაც კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს აცნობს უფლებებს და მოვალეობების, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლის დირექტორი, დირექციის წევრები, კლასის დამრიგებლები სისტემატურად ახდენენ შეხვედრას მშობლებთან, დაინტერესებულ პირებთან, სასკოლო საზოგადოების წევრებთან რა დროსაც ხდება სასკოლო რეგულაციების გაზიარება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6 ერთი პრიმა პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი
3. სადამრიგებლო პროგრამა
4. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების მექანიზმის შესახებ დოკუმენტი, აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, კანონმდებლობის გაცნობას, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა;
ბ) მოსწავლეთა მობილობა;
გ) საფეხურის დაძლევა;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია, განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე და სკოლაში თვალსაჩინო ადგილას, საინფორმაციო დაფაზე. გარდა აღნიშნული საშუალებებისა, ინფორმაციის მიწოდება სასკოლო საზოგადოებისთვის ხდება სამუშაო შეხვედრებზეც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი და გამჭვირვალე, სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს ინფორმაციის განახლებას და დაინტერესებულ პირთათვის მიწოდებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების მექანიზმის შესახებ დოკუმენტი
2. სადამრიგებლო პროგრამა
3. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი.
4. სკოლის ვებ-გვერდი (skolebi.emis.ge)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 01-02/20. 24-03-2025 წ.), რომლის თანახმადაც - სკოლა დაინტერესებულია, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, აღნიშნული წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს სხვადასხვა ტიპის ბარიერის არსებობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლი მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტით და სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს , პირველ კლასელებს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით. სკოლის მიერ დანერგილი სამუშაო პრაქტიკის ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება რომ აქტიურია სკოლის როლი მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიმართულებით. **სკოლას მიეცა რჩევა** შიდა რეგულაციით განსაზღვროს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით), ხოლო მოსწავლის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნას დახმარების სხვადასხვა ფორმა, მაგალითად დამატებითი მეცადინეობა, კონსულტირება ვადებისა და ფორმის მითითებით. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს სხვადასხვა გზით ჰქონდეს მსგავსი სერვისების მიღების შესაძლებლობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეთა ადმინისტრაციული მხარდაჭერას ახორციელებს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, კერძოდ მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლის მიერ მიეწოდება ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესახებ, როგორიცაა მოსწავლის მობილობის უფლება, მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებული საკითხები, ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესი და პირობები და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება. სკოლის კლუბ "დრაკარისის" ინიციატივით, (კლუბს ხელმძღვანელობს სამოქალაქო განათლების მასწავლებელი) ჩატარებულია გარემოსდაცვითი ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც: მოსწავლეებმა გაიაზრეს ბუნების დაცვის მნიშვნელობა, გაეცნენ ეკოლოგიურ პრობლემებს და მათ გადაჭრის გზებს, მონაწილეებმა შეასრულეს გარემოსდაცვითი

საქმიანობები პრაქტიკაში, კლუბის წევრებმა შეიმუშავეს ბანერები, საინფორმაციო ბროშურები და აქტიურად მიაწოდეს თანატოლებს ინფორმაცია გარემოსდაცვითი თემების შესახებ.
აღსანიშნავია მოსწავლეთა ჩართულობით სკოლაში განხორციელებული პროექტი სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში, კერძოდ სკოლაში ფუნქციონირებს თეატრალური წრე, რომელიც წარმოადგენს არაფორმალური განათლების სივრცეს და ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი იდეების განხორციელებას. წრის მუშაობას ხელმძღვანელობს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, კერძოდ ხელოვნების წრის ხელმძღვანელს აქვს უმაღლესი აკადემიური განათლება და მინიჭებული აქვს თეატრალური ხელოვნების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. მიღებული შეფასების საფუძველზე სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების მექანიზმების გაუმჯობესებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1.განხორციელებული სასკოლო პროექტების მასალები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფორიენტაციას, რაც მოიცავს საგანმანათლებლო გარემოში მოსწავლეთა მხარდაჭერას საკუთარი ფიზიკური, კოგნიტიური და პიროვნული მახასიათებლების აღმოჩენაში და ამ მახასიათებლების შესაბამისი პროფესიების იდენტიფიცირებაში. ამ მიზნით სკოლა სხვადასხვა პროფესიული წრეების

წარმომადგენლებს აძლევს საშუალებას, ჩაატარონ პირისპირ შეხვედრები მოსწავლეებთან, გააკეთონ პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებისთვის. სკოლა დროულად აწვდის მოსწავლეებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, სიახლეებს. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის დირექციის, პედაგოგების განმარტებით სკოლის ორგანიზებით პერიოდულად ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, მოსწავლეებს ურიგდებათ სხვადასხვა პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების მიერ მომზადებული გზამკვლევები. სკოლა მუდმივად ზრუნავს იმისთვის, რომ მოსწავლეები იყვნენ სათანადოდ ინფორმირებული ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ატარებს მოსწავლეების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას, რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში, გამოკითხვის შედეგები, უკუკავშირი სკოლას აძლევს შესაძლებლობას უკეთ დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ინფორმაცია სამოქალაქო კლუბი ,, დრაკარისის“ საქმიანობის შესახებ.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს, თუმცა შემუშავებული აქვს შიდა რეგულაცია, ინკლუზიური განათლების დანერგვის წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 02 ივნისის N 01-02/37 ბრძანებით). სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლესთან მუშაობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს, სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურების გაწევა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა

2. ინკლუზიური განათლების დანერგვის წესი

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის მიერ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია", აღნიშნული დოკუმენტის თანახმად კურიკულუმი არის იმ წესების ერთობლიობა, რომელიც წარმოაჩენს ,, გზას", რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს მოსწავლეს პიროვნული განვითარებისათვის. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის დანერგვა მაშინ მიმდინარეობს წარმატებით, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, დირექცია, მშობლები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ურთიერთთანამშრომლობის დადებითი მხარეები. სკოლაში მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, ხდება გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება, მასწავლებლებს შორის უკუკავშირი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის დირექციასთან, საგნობრივ კათედრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა/კათედრები ქმნიან სასკოლო/საგნობრივ კურიკულუმებს, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართულია როგორც დირექცია, ასევე პედაგოგები და მშობლები. სკოლამ ამ პროცესის ამსახველი მტკიცებულებების სახით წარმოადგინა, თემში კურიკულუმის გაზიარების ოქმი "„ კურიკულუმის ბარათი მშობლებისათვის."„მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი." **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლამ სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისა და მათგან უკუკავშირის მიღების დამადასტურებელ მტკიცებულებად წარმოადგინა „თემში კურიკულუმის გაზიარების ოქმი", რომლითაც ჩანს, რომ სკოლის მიზანია თემის წევრებს გააცნოს კურიკულუმის სტრუქტურა, ღირებულებები და მიზნები. მიიღოს მათგან უკუკავშირი, გაიზიაროს მოსწავლეთა, მშობელთა, სხვა დაინტერესებულ მხარეთა პოზიციები, მიიღოს რეკომენდაციები და განსაზღვროს ნაბიჯები შემდგომი რეაგირებისათვის, ასევე წარმოადგინა „ კურიკულუმის ბარათი მშობლებისათვის", რომელიც მშობელთა უკუკავშირს ითვალისწინებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *თემში კურიკულუმის გაზიარების ოქმი.*
2. *კურიკულუმის ბარათი მშობლებისათვის.*

3. *2025 წლის 16 ივნისის შრომითი ხელშეკრულება №26 წრის ხელმძღვანელის შესახებ*
4. ***მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი.***
5. *სასკოლო კურიკულუმები*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმის ანალიზისას ცხადია დოკუმენტი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების საფუძველს, პროცესს და კონკრეტულ მიდგომებს. ბუნდოვანია როგორ ხდება ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინება, რა არის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული და არ იკვეთება სწავლა-სწავლების მიზანმიმართული განვითარება. **სკოლას მიეცა რჩევა** დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე უფრო კონკრეტულად აისახოს სასწავლო მიზნები, მეთოდები და რესურსები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებს პასუხობს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყოველივე ეს კარგად გამოჩნდა მათ მიერ განხორციელებულ კომპლექსურ/შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგებმა საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმეს კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. მოსწავლე ისწავლის, როგორ წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი, დააკვირდეს, რას გაართვა თავი მარტივად, რა წინააღმდეგობები შეხვდა გზად და როგორ გადალახა ისინი მასწავლებლის დახმარებით. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მზაობა, გამოცდილება, ინტერესები და სურვილები. ასევე, ყველა სტრატეგია, მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	კურიკულუმებში მკაფიოდ იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა - აქტივობები და მიზნები გათვლილია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე. **რჩევა:** სასურველია, გაგრძელდეს კოორდინირებული მუშაობა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების გადახედვაზე, რათა ყველა საფეხურზე უკეთ დამკვიდრდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტები და მიზნობრივი ენობრივი კომპეტენციები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივი (მუსიკა/ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებში უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი პროდუქტის ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები, შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის დროს, მოსწავლეები ითვალისწინებენ წინასწარგანსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს, ხოლო მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ აღსაზრდელთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმი ნათლად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პრინციპებს. დაგეგმვის პროცესში უპირატესობა მინიჭებულია მოსწავლის საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. შემოთავაზებული სასწავლო აქტივობები მიზანმიმართულია აქტიური სწავლებისკენ, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და ინდივიდუალური განვითარებისთვის საჭირო უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან და პედაგოგებთან ინტერვიუებიდან გამომდინარე დგინდება, რომ პედაგოგები სკოლის, მატერიალური ბაზის და მოსწავლეების

	საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კოლეგიალურად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება - მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები და დირექცია. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეული მრავალფეროვანი სასწავლო პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემებით (მძლეოსნობა, კალათბურთი, პროექტული სწავლება, ფრენბურთი, ფეხბურთი, ლაშქრობა და ძალისმიერი ვარჯიშები) გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მათი შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერულ ტექნოლოგიების საგანში სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩო, რომელიც შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და პედაგოგთან უშუალო გასაუბრებით, ჩანს, რომ იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ კურიკულუმის ჩარჩოებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაწერილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილ დოკუმენტში ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან პირდაპირი კავშირი. კურიკულუმი ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტებს, ზოგად და საგნობრივ კომპეტენციებს. **სკოლას მიეცა რჩევა** დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე კურიკულუმის შინაარსში უფრო მკაფიოდ წარმოჩინდეს

	ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრა, მათ შორი სსწავლა-სწავლების მიზნების, ღირებულებების და შედეგების დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს შეუწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნება ან არასწორად არის მითითებული, ან გამორჩენილია. **დაწყებითი საფეხური** **მე და საზოგადოება** *მესამე კლასი* მეორე და მესამე თემებში არ მუშავდება სამიზნე ცნება „ცვლილება“; *მეოთხე კლასი* პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „საზოგადოება“; მესამე თემაში არასწორად არის მითითებული სამიზნე ცნება „გეგმა“, აღნიშნული არ არის დაწყებითი საფეხური საგნობრივ სტანდარტში წარმოდგენილი და საჭიროებს შესწორებას. **ჩვენი საქართველო** *მეხუთე კლასი* ყველა თემაში მხოლოდ თითო სამიზნე ცნება მუშავდება. მეხუთე კლასის ფარგლებში არცერთ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „მეურნეობა“, „დრო“, „სახელმწიფო“. *მეექვსე კლასი* ყველა თემაში ერთი ან ორი სამიზნე ცნება მუშავდება. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ყველა თემაში, ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე კურიკულუმები საჭიროებს გადახედვას და მასში ცვლილებების შეტანას. **საბაზო საფეხური** **გეოგრაფია** *მეშვიდე კლასი* კურიკულუმში სამიზნე ცნებები ჩამოწერილია თითოეული თემის გასწვრივ. რთულია განსაზღვრა, რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/საკითხებით მუშავდება. *მერვე კლასი*

	ყველა (ხუთივე) თემაში წარმოდგენილია სამიზნე ცნება „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“. აღნიშნული არ არის საბაზო საფეხურის გეოგრაფიის საგნობრივ სტანდარტში წარმოდგენილი და საჭიროებს შესწორებას. ასევე, არ ჩანს რომელი საკითხით/საკითხებით მუშავდება ესა თუ ის სამიზნე ცნება. *მეცხრე კლასი* მეორე თემა სავარაუდოდ არასწორად წერია, უნდა ეწეროს „დასავლეთი საქართველო“. თემა „სამხრეთი საქართველო“ ორჯერ არის მითითებული კურიკულუმში, ხოლო „დასავლეთი საქართველო“ გამორჩენილია. ყველა (ოთხივე) თემაში წარმოდგენილია სამიზნე ცნება „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“. აღნიშნული არ არის საბაზო საფეხურის გეოგრაფიის საგნობრივ სტანდარტში წარმოდგენილი და საჭიროებს შესწორებას. ასევე, არასწორად წერია სამიზნე ცნება „გეოგრაფიული პროცესი, გეოგრაფიული მოვლენა“. უნდა ეწეროს „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“. **ისტორია** *მეცხრე კლასის* კურიკულუმში არ არის აღწერილი მეორე და მესამე თემები. მხოლოდ პირველი თემის სამუშაო გეგმაა გაწერილი. **საშუალო საფეხური** **გეოგრაფია** *მეთერთმეტე კლასი* პირველ თემაში არ ჩანს რომელი საკითხით/საკითხებით მუშავდება სამიზნე ცნება „მდგრადი განვითარება“. ამავე კლასში, შეფასების რუბრიკაში არასწორად არის მითითებული შედეგების ინდექსი. **ისტორია** *მეათე კლასი* მეორე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები „ისტორიული წყარო“, „სივრცე“, „საზოგადოება“. ამასთანავე, სამივე თემა სასურველია გაიწეროს კურიკულუმის ერთიან ჩარჩო დოკუმენტში. *მეთერთმეტე კლასი* არცერთ (სამივე) თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „ისტორიული წყარო“. *მეთორმეტე კლასი* კურიკულუმში არ არის მითითებული სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, შესაბამისად, საჭიროებს კორექტირებას. პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „დრო“. მეორე თემაში არ მუშავდება „დრო“, „სივრცე“, „საზოგადოება“. **საქართველოს ისტორია** *მეთერთმეტე კლასი* პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები „საზოგადოება“ და „ძალაუფლება“. მეორე თემაში არ მუშავდება „ისტორიული წყარო“, „დრო“, „სივრცე“, „ისტორიული მოვლენა/პროცესი“. მესამე თემაში არ მუშავდება „დრო“, „საზოგადოება“, „სივრცე“. ასევე, თითოეულ ცნებასთან მიმართებაში დასაზუსტებელია საკითხები.

	მოქალაქეობა *მეთერთმეტე კლასი* კურიკულუმში, პირველ თემაში არ ჩანს რომელი საკითხებით მუშავდება სამიზნე ცნებები „დემოკრატია“ და „მდგრადი განვითარება“. **მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა:** **დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში** 1. ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება დამუშავდეს; 2. სამიზნე ცნებები შესწორდეს შესაბამისი საფეხურისა და საგნის სტანდარტის მიხედვით; 3. კურიკულუმში აღწერილი უნდა იყოს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემის სწავლების პრინციპები; 4. კურიკულუმში დეტალურად უნდა ჩანდეს რომელი სამიზნე ცნება რომელი საკითხით/საკითხებით დამუშავდება; 5. შედეგების ინდექსი შესწორდეს სტანდარტის შესაბამისად; 6. კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური/შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში. **საშუალო საფეხურზე სკოლა მიეცა რჩევა:** 2025-2026 სასწავლო წლისთვის სკოლამ შექმნას მე-11 კლასის ისტორიის კურიკულუმი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმი აშკარად ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, განსაკუთრებით - ენობრივი კომპეტენციების განვითარებასა და ფუნქციური ენის გამოყენებას. **რჩევა:** დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე მიზანშეწონილია კურიკულუმების გამდიდრება შემოქმედებითი და მოსწავლეზე მორგებული აქტივობებით, რომლებიც ხელს შეუწყობს ენობრივი კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას რეალურ კონტექსტში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	შექმნილი კურიკულუმები (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს,

	სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და პრიორიტეტებს. იგი ასახავს საბაზისო კომპეტენციებს, საგნობრივ სტანდარტებსა და სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების პრაქტიკაში განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილი სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს რასაც ადასტურებს ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგი. სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი. წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კათედრაზე შემუშავებულია ისეთი საგნობრივი კურიკულუმები, რომლების ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. შუალედური სასწავლო მიზანი, კომპლექსური დავალება, საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურება იკვეთება კომლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების მიხედვით. დოკუმენტაციის შესწავლის და ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ თემატურ ბლოკებში შემავალ თემებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება.კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარდგენილ კურიკულუმში არის აღწერილი კონკრეტული საგანმანათლებლო რესურსები და მათი როლი მოსწავლის პროგრესის უზრუნველსაყოფად.მაგალითად წარმოდგენილია ინტეგრირებული პროექტები, მათშორის STEM პროექტიც, რაც მოწმობს მათ პროექტული სწავლების გამოცდილებას. **სკოლას მიეცა რჩევა:** დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე სასურველია დოკუმენტი ასახავდეს, როგორ ეხმიანება შერჩეული რესურსები მოსწავლეთა საჭიროებებს, განსხვავებულ სასწავლო სტილებს ან ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს. მიზანშეწონილია, შემუშავებულ კურიკულუმში მკაფიოდ აღინიშნოს, რომელი რესურსები და რა ფორმით გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში, რათა უკეთ შეფასდეს მათი შესაბამისობა და ეფექტიანობა სწავლის შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ დირექციის მხრიდან აქვთ სრული მხარდაჭერა, რომ გაკვეთილის დაგეგმვისას არ შეექმნათ პრობლემა და აქტიურად გამოიყენონ კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი და სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმა, მაგ. https://kahoot.it. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	შერჩეული რესურსები მრავალფეროვანია და შეესაბამება ენის სწავლის მიზნებს. ისინი ხელს უწყობს როგორც მოსწავლის ჩართულობას, ისე მიზნობრივი უნარების განვითარებას. **რჩევა:** დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე სასურველია გაგრძელდეს სასწავლო პროცესში IT ტექნოლოგიებისა და მრავალფეროვანი ციფრული რესურსების გამოყენება, რაც გაუმჯობესებს მოსწავლის ჩართულობას და ხელსშეუწყობს ენობრივი უნარების მრავალმხრივ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები ჩაშენებულია ბმულების სახით,რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში მოცემული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზანმიმართულად და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმში მოცემული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზანმიმართულად და სრულად შეესაბამება განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. ისინი მრავალფეროვანია, სწავლების განსხვავებულ სტილსა და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს ითვალისწინებს. რესურსები ხელს უწყობს აქტიური და ჩართულობაზე ორიენტირებული სწავლის პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტურად მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები- (მძლეოსნობა, ფრენბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ლაშქრობა, მაგიდის ჩოგბურთი და პროექტული სწავლება,), რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე, რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს - იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პოცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული,

	პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	საგანში კომპიუტერულ ტექნოლოგიები წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, (school.emis.ge, code.org, scratch, office365 და სხვა) რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში მოცემულია გარკვეული აქტივობები დიფერენცირებული სწავლების განხორციელებისთვის (მაგ. სხვადასხვა დავალებების შეთავაზება), სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. წარმოდგენილ აქტივობებს ჩანს არა ქვს სისტემური ხასიათი. **რჩევა: დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე** სასურველია კურიკულუმში კონკრეტული მაგალითი იყოს მოცემული, როგორ ხდება საგაკვეთილო პროცესში შინაარსის, დროის დიფერენცირება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის

	მოდიფიცერებას. მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი, თითოეულ კლასში რამდენიმე მოსწავლე ირიცხება, აღნიშნული ამარტივებს პედაგოგებისთვის ინკლუზიური გარემოს შექმნას. თითოეულ მოსწავლეს აქვს მაქსიმალური შესაძლებლობა და ხელშეწყობა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მათი სრული ჩართულობითა და მხარდაჭერით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	აქტივობებში შეინიშნება შესაძლებლობა დიფერენცირებისა და ადაპტაციისთვის, რაც ხელს უწყობს ინკლუზიურ გარემოს. **რჩევა:** დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე სასურველია, უცხო ენების მასწავლებლებ მამომავალშიც აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული და ადაპტირებული სასწავლო აქტივობები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ეფექტურ ჩართულობას და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სწავლებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ კურიკულუმებში (მუსიკა,ხელოვნება) იკვეთება შეთავაზებული დავალებების კომპლექსური ხასიათი,მოცემულ დავალებებზე დაყრდნობით მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება. მასწავლებელებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ,რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად. მოსწავლეებს ეძლევა სხვადასხვა სირთულის დავალებები და რესურსები ,რომელიც მორგებულია მის შესაძლებლობაზე, ხორციელდება დიფერენცირებული ტიპის დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. დოკუმენტებში წარმოდგენილია „ინკლუზიური განათლების დანერგვის წესი“, თუმცა ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე სკოლას არ ჰყავს, შესაბამისად, არც ინდივიდუალური გეგმა არ არსებობს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომასა და რემედიაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და აშკარად გამოხატულია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლების სტილს. თემების დაგეგმვაში ჩართულია მრავალფეროვანი აქტივობები და მეთოდები, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობასა და სწავლის პროცესში ჩართულობას. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს კლას-კომპლექტებთან მუშაობისას; განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ეს III კლასის კურიკულუმში თემაზე „გეომეტრიული ფიგურები და სიდიდეები". **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდაში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, რომელთანაც საჭირო იქნება მუშაობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო დონეზე სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. როგორც პედაგოგმა აღნიშნა, კურიკულუმის შედგენის პროცესში გაითვალისწინა მოსწავლეთა საჭიროებები, და შედგენილი აქვს დიფერენცირებული ტიპის დავალებები. ასევე, განვლილი გამოცდილების და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გეგემავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება,რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი შეფასების სისტემა, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, თუმცა სამივე საფეხურზე ზოგად ხასიათს ატარებს.

	რჩევა: დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს სასურველია ახლდეს თემის, საკითხის და ცნების დასახელება. განმსაზღვრელი რუბრიკის კრიტერიუმებში უნდა ჩანდეს თემის ფარგლებში მიღწევის ინდიკატორის შესაბამისობა საგნობრივ ცნებასთან. მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს როგორ ხდება შუალედური და საფეხურებრივი მიღწევების ანალიზი. სასურველია ჩანდეს , როგორ უკავშირდება შეფასება მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით. კომპლექსურ დავალებებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები. მიმდინარე შეფასებასთან ერთად სკოლაში პერიოდულად ტარდება შემაჯამებელი და დიაგნოსტიკური წერები, რაც შესაძლებლობას იძლევა შეაფასონ თითოეული სამიზნე ცნების გააზრების ხარისხი და შესაბამისი საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმონ/გადაგეგმონ შემდგომი პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	შეფასების ფორმები დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთან და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, გაიაზროს საკუთარი პროგრესი. **რჩევა:** დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე მიზამშეწონილია შეფასების რუბრიკები ყველა ტიპის დავალებაზე იყოს მორგებული,საფეხურისა და დავალების სპეციფიკის შესაბამისად; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პოზიტიური უკუკავშირის როლს მოსწავლეთა პროგრესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. შეფასების რუბრიკის შექმნისას გათვალისწინებულია დავალების შინაარსის შეთანხმება მოსწავლეებთან, კათედრამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომელიც მორგებულია თემას, საკითხს. **რჩევა**: დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე სასურველია დაიხვეწოს შეფასების რუბრიკები მეტად მოერგოს თემას და შესწავლის საკითს, იკითხებოდეს მასში თუ რომელი სამიზნე ცნების ქვეცნებებთან მიმართებით შეფასდა მოსწავლის ცოდნა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ; ესეს შეფასების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის და სხვა). კომპლექსური ბუნების დავალებისთვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიის მიხედვით. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე და მოიცავს როგორც ფორმურ, ისე არაფორმალურ და შემაჯამებელ კომპონენტებს. შეფასების სისტემაში ნათლად ჩანს უკუკავშირის მექანიზმები, რაც უწყობს ხელს მოსწავლის აკადემიური პროგრესის და პიროვნული განვითარებისთვის საჭირო უნარების ამოცნობასა და გაძლიერებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომლებიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილია თემის მიხედვით და მიემართება სამიზნე ცნებებისაკენ. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვიერი კომენტარი გამომდინარეობს თემის ფარგლებში ტექნიკის შესრულების დროს სწორ და ზუსტ მითითებებში თუ როგორ უნდა შესრულდეს კონკრეტულ მომენტში შეთავაზებული ტექნიკა სწორად, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. სკოლის წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები ადასტურებენ გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობას. აგრეთვე პედაგოგმა აღნიშნა, რომ განმავითარებელი შეფასების პროცესში იყენებს, მრავალფეროვან აქტივობებს, როგორიცაა: პროდუქტის შექმნა, პრეზენტაცია, დისკუსია, და ა.შ. ასეთი აქტივობების შემდეგ განხორციელებული უკუკავშირი, მოსწავლეებს აძლევს იმის შესაძლებლობას, უკეთ დაინახოს მიზნის მისაღწევად გასავლელი გზა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები
2. შეფასების რუბრიკები
3. შემაჯამებელი წერის ანალიზი
4. სასკოლო სასწავლო გეგმა
5. კათედრის ოქმი
6. არაფორმალური აქტივობის წახალისება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესის დაგეგმვა განხორციელებულია კურიკულუმის შაბლონის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მინიმალურ სტრუქტურულ შესაბამისობას. თითქმის სრულად გამოხატულია დაგეგმილი პროცესი და მოსწავლის როლი, კომპლექსური დავალების იდეა წარმოდგენილია ყველა კურიკულუმში, მაგრამ არ არის აღწერილი დავალების პირობა, მოსწავლის როლი ან სასწავლო შედეგებთან კავშირი. ეს პროცესის აღქმასა და ღრმაგააზრებას ართულებს. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე „სამიზნე ცნებების/ქვეცნებების“ კომპონენტში დაზუსტდეს თემაში/საკითხში დასამუშავებელი ქვეცნებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოუწიათ კურიკულუმებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რასაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას. ცვლილებები ძირითადად ეხებოდა კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების რაოდენობას. ზოგიერთ კლასში დაგეგმილი ჰქონდათ 7-8 კომპლექსური დავალება, რაც დროში ვერ მოესწრო და მოუწიათ მათი შემცირება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	უცხოენების სწავლების პროცესი დაგეგმილია კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად. შერჩეული აქტივობები და მეთოდები ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას. **რჩევა:** დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე სასურველია, გაძლიერდეს მიზნობრივი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიების ინტეგრირება სასწავლოპროცესში - მაგალითად, რეალურ კომუნიკაციაზე დაფუძნებული დავალებები, ინტერდისციპლინური კავშირები და IT რესურსების აქტიური გამოყენება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმზე დაყრდნობით და ასევე ინტერვიუს პროცესის დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შემოქმედებით პროცესში .პედაგოგებმა ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებულ სხავადასხვა აქტივობებზე, რაც იძლევა იმის დასკვნის საფუძველს ,რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ანკომპლექსური ბუნების დავალებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი კარგად არის დაგეგმილი და სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ დაგეგმვა ითვალისწინებს სასწავლო წლის სტრუქტურას, თემატურ ერთეულებსა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. აქტივობები მიზანმიმართულია კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე და თანხვედრაშია სკოლის საერთო საგანმანათლებლო ხედვასთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი

	უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, - რომლებიც ასახავენ სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი პროექტი, ოლიმპიზმის, მავნე ჩვევების და ლაშქრობის თემატიკიდან გამომდინარე, - ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას, პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში მოცემულ ტექნიკის შესწავლას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი: შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალი და შიდა სასკოლო/საკლასო პრეზენტაცია, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებელთან ინტერვიუ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, წარმოდგენილი დოკუმენტაცის და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი სრულად არის დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლას შიდა დოკუმენტაციაში (ხარისხის მართვის პოლიტიკა, პერსონალის მართვის პოლიტიკა, სამსახურებრივი ინსტრუქციები, მატერიალური რესურსის გამოყენების წესი და ა.შ) აღწერილი აქვს თუ როგორ მოხდება ადამიანური და

მატერიალური რესურსის მართვა შემხვედრ საჭიროებებთან მიმართებაში, რათა არ დაირღვეს სასწავლო პროცესის უწყვეტობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარდგენილ კურიკულუმში შეფასების სისტემა არის აღწერილი. **რჩევა:** დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე სასურველია შეფასება ასახავდეს იმ პრაქტიკულ პროცესს, რაც ქმნის ობიექტურ და სამართლიან შეფასების გარემოს. ასევე სასურველია უკუკავშირის ფორმებიც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რა მოლოდინები აქვთ პედაგოგებს მათ მიმართ და რისი ცოდნა მოეთხოვებათ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და დეტალურად გაწერილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. გამოყენებული კრიტერიუმები და ფორმები ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესის სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას. **რჩევა:** დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე სასურველია, შეფასების პროცესში გაგრძელდეს კრიტერიუმების მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე ჩამოყალიბება და მრავალფეროვანი ფორმატების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს შეფასების ობიექტურობასა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების რუბრიკებიდან და ასევე მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ შეფასება, ვალიდური გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტურია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების. სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს, რომელიც გულისხმობს მრავალკომპონენტიან შეფასებას. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადეს და ნდობას. გამოყენებულია მრავალმხრივი შეფასების ფორმები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და პროგრესის სრულფასოვან ასახვას. შეფასება ასევე მოიცავს განმავითარებელ უკუკავშირს, რაც აძლიერებს სწავლის მოტივაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სიტყვიერ კომენტარს და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს კომპლექსური დავლებებიდან გამომდიარე, რასაც აქტიურად იყინებენ პრაქტიკაში კომპლექსური დავალების შეჯამების დროს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ გამოყენებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სრულად აკმაყოფილებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელიც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია განმავითრებელი და განმსაზვრელი შეფასების რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც უკვე ხდება სასწავლო პროცესში, აღწერის მიხედვით შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტევიუს საფუძველზე დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ,, ვერიფიკაციის მექანიზმის ინსტრუქცია".(დამტკიცებული დირექტორის მ/შ 2025 წლის 24 მარტის ბრძანება 01-02/27) წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლაში ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით-შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამ დოკუმენტის თანახმად ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირებია ხარისხის მართვის ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს, საგნობრივი სპეციალისტი-რომელიც ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობის ვერიფიკაციას. სკოლას ამავე დოკუმენტით წარმოდგენილი აქვს ცხრილი, რომელიც თვალსაჩინოდ ასახავს შეფასების ვერიფიკაციასთან დაკავშირებულ პროცესებს. დოკუმენტში დეტალურად გაწერილია ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების პროცედურები, რომლის მიხედვით სკოლამ სასწავლო წლის დასაწყისშივე უნდა შეადგინოს ვერიფიკაციის გეგმა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლის დირექცია/მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს აღრიცხავს და ინახავს 3 (სამი) წლის ვადით, სკოლამ შეფასებასთან და ინფორმაციის აღრიცხვა/შენახვასთან დაკავშირებით წარმოადგინა მტკიცებულების სახით სასკოლო სასწავლო გეგმა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკისა და ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები
2. შეფასების რუბრიკები
3. შემაჯამებელი წერის ანალიზი
4. სასკოლო სასწავლო გეგმა
5. კათედრის ოქმი
6. არაფორმალური აქტივობის წახალისება
7. *დოკუმენტი ,, ვერიფიკაციის მექანიზმის ინსტრუქცია".*
8. *დირექტორის მ/შ ბრძანება ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ*
9. *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები*
10. *.პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დოკუმენტში დასახელებულია სასწავლო რესურსები, არის წარმოდგენილი, როგორ უწყობენ ხელს კონკრეტული რესურსები მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, მიზნობრივი უნარების განვითარებას ან კომპლექსური დავალებების შესრულებას. რესურსები ჩამოთვლილია, მაგრამ არ ჩანს, როგორ ინტეგრირდება ისინი სწავლა-სწავლების პროცესში. ლაბორატორია აღჭურვილი, სივრცე არის, სადაც ძირითადად ფიზიკის ხელსაწყოებია, ნაკლებია ან საერთოდ არაა ქიმია ბიოლოგიის ხელსაწყოები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. კერძოდ, ელექტრონული რესურსი, ვიდეო რესურსი, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმები, რუკები, პოსტერები, პლაკატები, რაც დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია ძირითადი და დამატებითი რესურსები, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს და მხარს უჭერს უცხოენაში ენობრივი კომპეტენციების განვითარებას. **რჩევა: დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე** სასურველია უცხოენების მასწავლებლებმა მომავალშიც გააგრძელონ სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი და ინტერაქტიული რესურსების გამოყენება, განსაკუთრებით ციფრული პლატფორმების, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ენობრივი უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულიმში ჩაშენებულია სასწავლო რესურსები, როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოს ასევე დამატებით რესურსების სახით . **რჩევა** დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე სასურველია დამატებითი რესურსები ყველა თემის ფარგლებში შეირჩეს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვება, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში მიზანმიმართულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. რესურსების შერჩევა და გამოყენებ აემსახურება სწავლის შედეგების

	მიღწევას, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას. მასწავლებელი ეფექტურად აერთიანებს ბეჭდურ, ციფრულ და ვიზუალურ მასალებს, რაც ზრდის სწავლების ხარისხსა და მოსწავლის მოტივაციას; **რჩევა:** დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე სასურველი იქნება ციფრული რესურსების უფრო მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენება (მაგალითად: GeoGebra), რაც მეტად დააინტერესებს მოსწავლეებს და უფრო მკაფიოს გახდის საგნის წავლების საჭიროებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ვინაიდან სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია კურიკულუმში თანდართული ჰიპერლინკებისა და გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყენება. მასწავლებლები ქმნიან ერთგვარ ბანკს და უზიარებენ ერთმანეთს ციფრულ რესურსებს, წინა სასწავლო წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზაზე და ინვენტარზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. სკოლაში ხორციელდება საგანთაშორისი ინტეგრაცია, ერთობლივი პროექტები, რომელშიც ასევე მრავალფეროვანი რესურსებია გამოყენებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ გამოყენებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, რაც ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას, და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. არის წარმოდგენილი კრიტერიუმები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ რესურსების შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან, ხარისხსა და უსაფრთხოებასთან. ამავედროს, იკვეთება პასუხისმგებლობის განსაზღვრა სკოლის ან პედაგოგების მხრიდან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	დამხმარე რესურსები შერჩეულია საფეხურისა და ენის დონის სპეციფიკის შესაბამისად და სკოლაში ხდება მათი მიზნობრივი გამოყენება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ინტერვიუდან იკვეთება, რომ სკოლა უზრუნველყოფს რესურსის ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსის შერჩევისა და გამოყენების პროცესი ვალიდაციის ეტაპს გადის. არსებობს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების შინაარსობრივ შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, საგნობრივ სტანდარტებთან და ასაკობრივ თავისებურებებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში არის მოცემული კონკრეტული ინფორმაცია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ და მათი შესაბამისობა სასწავლო შედეგების მიღწევასთან. **რჩევა:** დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე სასურველია, რომ საგნობრივ კურიკულუმში უფრო დეტალურად იყოს აღნიშნული ამ რესურსების ტიპები და მათი ხარისხი, რადგან მხოლოდ ფოტო მასალიდან არ აღიქმება სრულად რესურსების ხარისხი და მისი ვალიდურობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	თითოეულ კლასში მოსწავლეთა მცირე რაოდენობა და ადგილზე არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი, რაც აადვილებს პედაგოგისთვის მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო გარემო ძირითადად უზრუნველყოფილია საჭირო რესურსებით, რაც ხელს უწყობს ენის ათვისების პროცესს. სკოლაში იგრძნობა მცდელობა არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებისა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლა მცირეკონტიგენტიანია., სკოლის მიერ უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური რესურსით, რომელიც ემთხვევა კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროებისამებრ ხელითაც ამზადებენ და მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით მათაც ამზადებინებენ მატერიალურ რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში არსებული ინვენტარი და დამხმარე მასალები შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გეგმაზომიერად განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია არის კარგ მდგომარეობაში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. აგრეთვე მოსწავლეები სარგებლობენ საკუთარი ბუკებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კურიკულუმებში ჩანს, რომ აქტიურად იყენებენ ელ.რესურსებს, რაც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას გაიღრმავონ ცოდნა ციფრული პლატფორმების მეშვეობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლის მიერ 2025 წლის 11 ივლისის MES 8 25 0000855675 კორესპონდენციით წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ, რომლის თანახმადაც სკოლამ კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო კვალიფიციური ადამიანური რესურსის შერჩევა დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე უნდა უზრუნველყოს 2026 წლის 03 ივლისის ჩათლით. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურზე უზრუნველყოს **კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების შერჩევა/დასაქმება.**

ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები
2. შეფასების რუბრიკები
3. შემაჯამებელი წერის ანალიზი
4. სასკოლო სასწავლო გეგმა
5. კათედრის ოქმი
6. არაფორმალური აქტივობის წახალისება
7. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
8. *Escool-ის გაზაში ასახული მასწავლებელთა მონაცემები*
9. *მასწავლებელთა პირადი საქმე*
10. *შრომითი ხელშეკრულებები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამ ეტაპზე **მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად** არ არის განხორციელებული. თუმცა სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სკოლა მატერიალური ბაზისა და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავს და კოლეგიალურად შეიმუშავებს სასკოლო კურიკულუმებს, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება - მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები და დირექცია. სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესს საფუძვლად უდევს საგნობრივი ჯგუფების მიერ განხორციელებული საქმიანობების ანალიზი სწავლა/სწავლების შედეგებზე დაყრდნობით მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამ ეტაპზე **მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად** არ არის განხორციელებული. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მზაობა, კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილად აქციოს მონიტორინგი და შეფასება, კერძოდ იმის აღწერა, თუ: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამ ეტაპზე მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად არ არის განხორციელებული. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა გეგმავს შექმნას რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც მიმართული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
2. *საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები*
3. *თემში კურიკულუმის გაზიარების ოქმი.*

4. *კურიკულუმის ბარათი მშობლებისათვის.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე. მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, სკოლა შეფასებას ახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასების კონტექსტებია:

- გარემო;
- ფაქტორი;
- შემთხვევა;
- და ა.შ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლას შიდა რეგულაციით განსაზღვრული აქვს სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოსაყენებელი მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.
მონაცემთა შეგროვების მეთოდებია:

- ინტერვიუ;
- დაკვირვება;
- ფოკუს-ჯგუფი;
- დოკუმენტის შესწავლა;
- გამოკითხვა;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით, დგინდება რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.
ფაქტორებია:

- მასწავლებელი;
- მოსწავლე;
- ოჯახის წევრი;
- გარემო;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი
2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის პროცესი არ არის დასრულებული. სკოლას დაგეგმილი აქვს კურიკულუმის სარეკომედაციო პაკეტის შემუშავება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგი წლის კურიკულუმში შესატანი ცვლილებების შინაარსებს, ცვლილების ინიცირებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს/პირს, ცვლილების განხილვასა და ასახვაზე/დამტკიცებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს/პირს, ცვლილებების ინიცირების პერიოდს/ვადებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის პროცესი არ არის დასრულებული. სკოლა გეგმავს წლიური მუშაობის შედეგად შექმნას ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. გადამუშავებული კურიკულუმი დაეფუძნება წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1. ვიზიტის დღის წესრიგი.

თარიღი 21.07.2025 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნატო ჯაში-შაინიძე

ლაურა ჯიმშელეიშვილი

ხათუნა ჯიმშიაშვილი

ნელი ტეტუნაშვილი

ეთერ ქუთათელაძე

გიორგი ჩაჩუა

ირმა ხუნდაძე

ნონა გორგილაძე

კობა დეკანაძე

ლანა კუჭავა